



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

დადგენილება №06-01/15

ქ. ბათუმი

14 თებერვალი, 2019 წ.

**პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N45 დადგენილების (დანართი 1-ის 2.5., 8.5 და 8.6 პუნქტები) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-7 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**დაადგინა:**

1. დამტკიცდეს პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების **გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა** (სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები, შემდეგში „დაგეგმილი აქტივობები“) **დანართი 1-ის** შესაბამისად.
2. დამტკიცდეს პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა** (აქტივობა/ამოცანა, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები, შემდეგში „დაგეგმილი აქტივობები“) **დანართი 2-ის** შესაბამისად.
3. დამტკიცდეს პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების **გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა შესრულების მონიტორინგის წესი** **დანართი 3-ის** შესაბამისად.
4. წინამდებარე დადგენილების აღსრულების მიზნით ეთხოვოს ბსუ-ს რექტორს გამოსცეს სამართლებრივი აქტის სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ.
5. წინამდებარე დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს.

6. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს (რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში

„დამტკიცებულია“

პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 თებერვლის N06-01/15 დადგენილების

დანართი 1.



პროფესიული განათლების მიმართულებით  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების  
გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა  
(სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი პირები, შესრულების  
ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები)

## 2019 წელი

პროფესიული განათლება საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად განიხილება. პროფესიული განათლება ერთის მხრივ, უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კვალიფიციური კადრებით, ხოლო მეორეს მხრივ, ის ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ზრდასრულების დასაქმებას და კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მნიშვნელოვან რეფორმას ახორციელებს პროფესიული განათლების განვითარებისთვის, რაც აისახება „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (2013-2020 წლები)“. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პროფესიული განათლების გამოწვევები და მათი დაძლევის ღონისძიებები.

აღნიშნული სტრატეგიების განხორციელებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია საგანმანათლებლო დაწესებულებებს ენიჭებათ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში-ბსუ) აცნობიერებს საკუთარ როლს ამ კონტექსტში, ამიტომაც საკუთარი მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიანი სტრატეგიის გათვალისწინებით, შეიმუშავა პროფესიული განათლების მიმართულებით განვითარების გრძელვადიანი ( 2019-2024 წლები) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

სამოქმედო გეგმა არის მოქნილი დოკუმენტი და მისი მოდიფიცირება შესაძლებელია ქვეყანაში არსებული რეალობისა და განათლების სფეროში განხორციელებული სიახლეების შესაბამისად ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა წინამდებარე დოკუმენტის შეიმუშავებისას.

სამოქმედო გეგმების მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბსუ-ს წარმომადგენლებმა: პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალმა, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა, პარტნიორმა დაწესებულებებმა, კურსდამთავრებულებმა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მოქნილი და ეფექტიანი სისტემის შექმნის მიზნით 2018 წლის 5 ოქტომბერს ბსუ-ში წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით: ა) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვა; ბ) უწყვეტი განათლება.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი 2019-2020 სასწავლო წლიდან ახალ სასწავლო კორპუსში განაგრძობს მუშაობას. ცენტრი აღჭურვილი იქნება თანამედროვე სასწავლო აუდიტორიებითა და ლაბორატორიებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ბსუ 2011 წლიდან ახორციელებს. ამჟამად უნივერსიტეტში 9 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 304 სტუდენტი სხვადასხვა პროფესიას ეუფლება.

ბსუ საზოგადოებას სთავაზობს შემდეგ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებს:

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	საფეხური	პროგრამის განხორციელების დაწყების პერიოდი	აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები
1	ბაგა - ბაღის აღმზრდელი -პედაგოგი (030254)	V	2018 წლის საშემოდგომო	25
			2018 წლის საგაზაფხულო	19
			2017 წლის საშემოდგომო	20
2	მეფუტკრე (010353)	III	2018 წლის საშემოდგომო	10
			2018 წლის საგაზაფხულო	10
			2017 წლის საშემოდგომო	15
3	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (040165)	III	2018 წლის საგაზაფხულო	19
4	ვებ ინტერფეისის დიზაინერი (040166)	III	2018 წლის საგაზაფხულო	15
5	ვებ პროგრამისტი (040167)	V	2017 წლის საშემოდგომო	20
6	ბიბლიოთეკარი (070852)	IV	2018 წლის საგაზაფხულო	12
			2017 წლის საშემოდგომო	21
7	ფარმაცევტის თანაშემწე (090351)	IV	2018 წლის საგაზაფხულო	14
			2017 წლის საშემოდგომო	24
8	პრაქტიკოსი ექთანი (090552)	V	2018 წლის საშემოდგომო	20
			2018 წლის საგაზაფხულო	16
			2017 წლის საშემოდგომო	19
9	არქიტექტორ-ტექნიკოსი (110153)	IV	2017 წლის საშემოდგომო	14
			2018 წლის საგაზაფხულო	11
	<b>სულ</b>			304

2019 წლიდან ბსუ გეგმავს არსებული პროგრამების განახლებას და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. კერძოდ, 2019 წლიდან დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ დაეუფლონ სხვადასხვა სპეციალობებს, როგორცაა ბაგა-ბაღის აღმზრდელი, მეზღვე, ბაღის დიზაინერი, ელექტრობის სპეციალისტი, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის სპეციალისტი, კბილის სატექნიკო საქმის სპეციალისტი, მეფუტკრე, პრაქტიკოსი ექთანი, ფარმაცევტის თანაშემწე, ბიომემცენარე, მევენახე და ა.შ. ასევე იგეგმება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებასა და კულინარიაში.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ძლიერი და სუსტი მხარეები

პლიერი მხარე	სუსტი მხარე
<p>უნივერსიტეტის მზარდი ცნობადობა და ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში;</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რამდენიმეწლიანი გამოცდილება;</p> <p>პროგრამების განმახორციელებელი კვალიფიციური და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული პერსონალი;</p> <p>დამსაქმებელთა მაღალი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესში;</p> <p>თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და/ან პროფესიულ ასოციაციებთან;</p> <p>თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ინფრაქტრუქტურა და ადაპტირებული გარემო;</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება;</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი საზოგადოების ინტერესის ზრდა;</p> <p>კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;</p> <p>სახელმწიფო დაფინანსება.</p>	<p>საზოგადოების ინფორმირების საშუალებების სიმწირე;</p> <p>დარგობრივი კომპეტენციებისა და პედაგოგიური გამოცდილების თანხვედრის სიმწირე;</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტების ენობრივი ბარიერი;</p> <p>ადგილობრივ დონეზე პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობა;</p> <p>პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მეთოდური ლიტერატურის (განსაკუთრებით ქართულენოვანი) სიმწირე.</p>

1: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების მეთოდების და ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმების შექმნა									
N	ამოცანა	წლები						შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირები
		2019	2020	2021	2022	2023	2024		
1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების სისტემის შემუშავება.	*						დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“; დამტკიცებული „ხარისხის შეფასების მექანიზმები“	ცენტრის დირექტორი; ხარისხის მართვის მენეჯერი; ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ცენტრის საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი.
2	პროფესიული სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება.	*	*	*	*	*	*	დამტკიცებული „ხარისხის შეფასების მექანიზმები“ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და ანალიზი; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია; ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშები.	
3	კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი; დასაქმების ბაზარზე ახალი მოთხოვნების გამოვლენა.	*	*	*	*	*	*	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი; შრომის ბაზრის ანალიზი.	

4	პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება	*							დამტკიცებული „ხარისხის შეფასების მექანიზმები“ პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ანალიზი; პროფესიული მასწავლებლის კმაყოფილების კვლევა.
5	სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმების შექმნა სწავლა-სწავლების მეთოდების სრულყოფისა და განვითარებისათვის	*							„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი“

სტრატეგიული მიზანი N 2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა

N	ამოცანა	წლები						შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირები
		2019	2020	2021	2022	2023	2024		
1	ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.	*	*	*	*	*	*	განახლებული და გაუმჯობესებული მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	ცენტრის დირექტორი; ცენტრის პროფესიული პროგრამების
2	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის, მეცნიერის და ექსპერტის აქტიური ჩართულობა.	*	*	*	*	*	*	ინტერესთა ჯგუფების გამოკითხვის ანალიზი; პროგრამაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფების სამუშაო შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია;	მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის



								დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების ამსახველი მასალა; წარმატებული ბიზნესმენების სტუდენტებთან შეხვედრების ამსახველი მასალა;	მართვის მენეჯერი
3.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება (განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრარული მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას)	*	*	*	*	*	*	ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	
4.	დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება (განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტურიზმის მიმართულებას)	*	*	*	*	*	*	დუალური მიდგომით შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	
5.	ფინანსურად არაეფექტური, მაგრამ რეგიონისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროფესიული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა.	*	*	*	*	*	*	პროგრამების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შრომის ბაზრის ანალიზი; დამსაქმებელთა გამოკითხვები და ა. შ.) ბსუ-ს მიერ შემუშავებული საგანგებო კრიტერიუმები პროგრამების ხელშეწყობის მიზნით; დაფინანსებული საგრანტო პროექტები.	

6	პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება საზოგადოებისათვის	*	*	*	*	*	*	კანონმდებლობით დადაგენილი წესით გაკეთებული განაცხადი; მომზადებული პროგრამები
---	---	---	---	---	---	---	---	---

სტრატეგიული მიზანი N 3: პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ხელშეწყობა									
N	ამოცანა	წლები						შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირები
		2019	2020	2021	2022	2023	2024		
1	პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შერჩევის, მოწვევის და დატვირთვის მექანიზმების შემუშავება	*						დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“	ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.
2	მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დარგში არსებული სიახლეების და მიღწევების დაუფლებას (მეთოდური ტრენინგები; უცხო ენის შემსწავლელი კურსები; სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები).	*	*	*	*	*	*	შემუშავებული სასწავლო და კვლევითი უნარების ხელშემწყობი მექანიზმები; გაზრდილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენცია სწავლებისა და შეფასების მიმართულებით; გაზრდილი პერსონალის კომუნიკაციის უნარები უცხოურ ენაზე.	
3	ახალი კადრების მოძიება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით	*	*	*	*	*	*	პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის განახლებული შემადგენლობა	

სტრატეგიული მიზანი N 4: ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების განვითარება

ამოცანა	წლები						შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირები
	2019	2020	2021	2022	2023	2024		
ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა	*						ქ. ბათუმში, ლეონიძის ქუჩაზე, N 15-ში მდებარე სამსართულიანი სასწავლო კორპუსი.	ცენტრის დირექტორი, ბსუ-ს ადმინისტრაცია
სასწავლო ფართის მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად	*	*	*	*	*	*	პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ინფორმაციული რესურსებით, სპეციალური პროფესიული ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები .	
სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნა	*	*	*	*	*	*	სასწავლო კორპუსში გამოყოფილი სტუდენტთა დასასვენებელი და დამოუკიდებლად სამუშაო სივრცეები (კომპიუტერით, ინტერნეტით).	
სოციალურ-ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა	*	*	*	*	*	*	ადაპტირებული სასწავლო კორპუსი; ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.	
პროფესიულ სტუდენტთა ბსუ-ს სტუდენტურ პორტალში ჩართვა	*						ინსტიტუციონალიზებულია სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სერვისები	
დამატებითი აქტივობების (კურიკულუმის გარეშე)	*	*	*	*	*	*	ინსტიტუციონალიზებულია დამატებითი აქტივობების (კურიკულუმის გარეშე) წახალისებისა და	

წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა							სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის სისტემა	
ბიბლიოთეკის ფონდის განახლება	*	*	*	*	*	*	განახლებული საბიბლიოთეკო ფონდი	
სტრატეგიული მიზანი N 5: ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობითი არეალის გაფართოება								
ამოცანა	წლები						შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირები
	2019	2020	2021	2022	2023	2024		
საერთაშორისო პარტნიორი კოლეჯების მოძიება და თანამშრომლობის ფორმების შემუშავება							გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ერთობლივად განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია	ცენტრის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი
ქვეყნის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება								
სტრატეგიული მიზანი N 6: პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიზნებისა და საკმიანობის დისემინაცია								
ამოცანა	წლები						შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირები
	2019	2020	2021	2022	2023	2024		
პროფორიენტაციის მექანიზმების შემუშავება; აბიტურიენტთა მოზიდვის მექანიზმების შექმნა							საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; სარეკლამო ბუკლეტები; ფლაერები; სარეკლამო ბანერები; ვიდეო რგოლები;	ცენტრის დირექტორი; ხარისხის მართვის მენეჯერი; ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ცენტრის საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი.

(ღია კარის დღეები; ვიზიტები სკოლაში; კამპანია მასმედიის მეშვეობით)							სარეკლამო კომპანიის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა; ცენტრის ვებგვერდი.	
ვებ გვერდის შექმნა და მუდმივი განახლება	‘	‘	‘	‘	‘	‘		

„დამტკიცებულია“

პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 თებერვლის N06-01/15 დადგენილების

დანართი 2.



პროფესიული განათლების მიმართულებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი გეგმა

(ამოცანა, აქტივობა, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები)

ამოცანა	აქტივობები	განხორციელების ვადები												განმახორციელებელი პირები	სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა)	შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები	შენიშვნა	
		I	II	III	IV	V	VI	VII		IX	X	XI	XII					
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების სისტემის შემუშავება.	1.,„ბსუ“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“-ს შემუშავება და ბსუ-ს აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;	*	*												მადონა მიქელაძე; მამუკა გოგელია	პროფესიული განათლების ექსპერტიზა	დამტკიცებული „ბსუ“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“	
	2.,„ხარისხის შეფასების მექანიზმები“-ის გადახედვა, რათა ის უზრუნველყოფდეს ყველა პროცესის შეფასებას და ხარისხის გაუმჯობესებას; შემუშავებული დოკუმენტის დასამტკიცებლად წარდგენა		*												მამუკა გოგელია		დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის ახალი რეგულაცია, რომელიც აერთიანებს პროცედურებს და შესაბამის ინსტრუმენტებს.	
პროფესიული სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება.	1. მოქმედი პროფესიული განათლების სტუდენტების აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზის გაკეთება.	*	*	*										გულადი ფარტენაძე; მამუკა გოგელია	-	სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და ანალიზი; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია; ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშები.		
	2. აქტიური პროფესიული განათლების სტუდენტების გამოკითხვა;			*	*									მამუკა გოგელია				
	3. სასწავლო პროცესის მონიტორინგი (თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება)	*	*	*	*	*	*	*		*	*	*	*	მადონა მიქელაძე; მამუკა გოგელია				
	4. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ანგარიშის წარდგენა					*							*	მამუკა გოგელია				
	5. პროფესიული სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება.					*								მადონა მიქელაძე მამუკა გოგელია გულადი ფარტენაძე				

კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი; დასაქმების ბაზარზე ახალი მოთხოვნების გამოვლენა.	1. კურსდამთავრებულთა სტატისტიკის გაკეთება	*	*	*													პარტნიორი ორგანიზაციები	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი; შრომის ბაზრის ანალიზი.
	2. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა				*													
	3. შეხვედრები იმ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ვისთანაც ბსუ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმი		*	*	*	*	*	*		*	*	*	*					
	4. სხვა პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრა		*	*	*	*	*	*		*	*	*	*					
	5. აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით პროფესიულ ასოციაციებთან შეხვედრა		*	*	*													
	6. შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტის შედგენა			*	*	*												
პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება	1. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის გამოკითხვა			*										მამუკა გოგელია	პროფესიული განათლების ექსპერტი	პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების დოკუმენტი; პროფესიული მასწავლებლის კმაყოფილების კვლევა.		
	2. პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება			*										მადონა მიქელაძე; მამუკა გოგელია; გულადი ფარტენაძე				
	2. პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასება;				*	*	*	*		*	*	*	*				მამუკა გოგელია	
სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმების შექმნა სწავლა-სწავლების მეთოდების სრულყოფისა და განვითარებისათვის	1. „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;	*												მადონა მიქელაძე; გულადი ფარტენაძე	-	„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი“		
	2. „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი“-ის შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა	*												მადონა მიქელაძე; გულადი ფარტენაძე				







	პროექტების წარდგენა; პარტნიორი კომპანიების მოძიება და ა.შ)																			
პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება საზოგადოებისათვის	1.პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება					*	*	*	*								მადონა მიქელაძე მამუკა გოგელია	კანონმდებლობით დადგენილი წესით გაკეთებული განაცხადი; მომზადებული პროგრამები	განხორციელების ვადები დამოკიდებულია შესაბამისი კანონმდებლობის მიღებაზე	
	2.პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება									*	*									
	3.პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება												*	*						
პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შერჩევის, მოწვევის და დატვირთვის მექანიზმების შემუშავება	„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“-ის შემუშავება	*															გულადი ფარტენაძე	დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“		
მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დარგში არსებული სიახლეების და მიღწევების დაუფლებას (მეთოდური ტრენინგები; სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციები და	1.ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა;	*	*	*													მადონა მიქელაძე მამუკა გოგელია გულადი ფარტენაძე	შემუშავებული სასწავლო და კვლევითი უნარების ხელშემწყობი მექანიზმები; გაზრდილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენცია სწავლებისა და შეფასების მიმართულებით; გაზრდილი პერსონალის კომუნიკაციის უნარები უცხოურ ენაზე.	კონფერენციის ჩატარების ზუსტი თარიღი გაირკვევა დაფინანსების წყაროს მოპოვების შემდეგ	
	2. ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება;		*	*																
	3. საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარება პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის (მ. შ. ინგლისური ენის კურსები);	*	*	*	*	*	*	*		*	*	*	*							
	4. „პროფესიული განათლება ქვეყნის განვითარებისთვის“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება ბსუ-ში										*									

სამუშაო შეხვედრები).	5. უცხოელი ექსპერტების მოწვევა და მასტერკლასების ჩატარება ბსუს პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის				*						*	*	*					
ახალი კადრების მოძიება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით	1. შეხვედრები პროფესიულ წრეებთან, ბიზნეს ასოციაციებთან ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების მოზიდვის მიზნით	*	*	*	*	*	*	*			*	*	*		მადონა მიქელაძე მამუკა გოგელია	აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა; ბიზნეს ასოციაციები;	პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის განახლებული შემადგენლობა; აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამა	
	2. „პროფესიული განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ შემუშავება და აკრედიტაციაზე წარდგენა	*	*	*	*	*	*	*			*							
სასწავლო ფართის მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად	1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალური და ინფორმაციული რესურსების ნუსხის შედგენა და შესყიდვაზე/დამზადებაზე მოთხოვნის გაგზავნა;	*	*	*											მადონა მიქელაძე მამუკა გოგელია ლელა ვერმაძე გულადი ფარტენაძე		პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ინფორმაციული რესურსებით, სპეციალური პროფესიული ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები .	
	2. პროგრამებით გათვალისწინებული გარემოს მოწყობა				*	*	*	*										
სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნა	1. სტუდენტებთან შეხვედრა და მათი მოსაზრებების მოსმენა გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით;	*	*	*											მადონა მიქელაძე მამუკა გოგელია ლელა ვერმაძე გულადი ფარტენაძე		სასწავლო კორპუსში გამოყოფილი სტუდენტთა დასასვენებელი და დამოუკიდებლად სამუშაო სივრცეები (კომპიუტერით, ინტერნეტით).	
	2. სტუდენტების სურვილების გათვალისწინებით დასასვენებელი და სამუშაო სივრცეების მოსაწყობი ინვენტარის ნუსხის შედგენა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის გაგზავნა შესყიდვის მიზნით				*													
სოციალურ-ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა	1. კონსულტაციის გავლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან	*	*												მადონა მიქელაძე მამუკა გოგელია ლელა ვერმაძე		ადაპტირებული სასწავლო კორპუსი; ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.	

	ინკლუზიური გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით;																	გულადი ფარტენაძე			
	2. ინკლუზიური განათლების სტანდარტების შესწავლა;	*																			
	3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების დეპარტამენტის წარმომადგენლის ვიზიტი ბსუ-ში; ინკლუზიური განათლების სტუდენტის საჭიროებების შესწავლისა და სამოქმედო სტრატეგიის შემუშავების მიზნით		*																		
	4. სსმ სტუდენტის ხელშეწყობის მიზნით ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მოწვევა;		*																		
<b>პროფესიულ სტუდენტთა ბსუ-ს სტუდენტურ პორტალში ჩართვა</b>	1. ბსუ-ს სტუდენტურ პორტალში პროფესიული განათლების სტუდენტთა გაწვევრიანება			*														მამუკა გოგელია		ინსტიტუციონალიზებულ-ლია სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სერვისები	
	2. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენლის საინფორმაციო შეხვედრები პროფესიული განათლების სტუდენტებთან	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*				გულადი მანანა პატარია მერაბ დიასამიძე			
<b>დამატებითი აქტივობების (კურიკულუმის გარეშე) წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა</b>	1. შეხვედრები სტუდენტურ თვითმმართველობასთან			*	*													მერაბ დიასამიძე			
	2. მხარდაჭერის სისტემის შექმნა				*													გულადი ფარტენაძე			
	3. აქტივობების კალენდარის შედგენა				*																
	4. აქტივობების განხორციელება				*	*	*	*	*	*	*	*	*	*							
<b>ბიბლიოთეკის ფონდის განახლება</b>	1. საბიბლიოთეკო ფონდის აღწერა (ბსუ-ს ბიბლიოთეკის პერსონალის დახმარებით)					*												ლელა ვერძაძე		განახლებული საბიბლიოთეკო ფონდი	

	2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეხვედრა და საჭიროებების დადგენა				*														
	3. შესასყიდი ლიტერატურის ნუსხის შედგენა და ბსუ-ს ადმინისტრაციისთვის წარდგენა					*	*												
საერთაშორისო პარტნიორი კოლეჯების მოძიება და თანამშრომლობის ფორმების შემუშავება	1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ქართველ და ევროპელ სასწავლო დაწესებულებებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება		*	*	*	*	*	*		*	*	*	*	მადონა მიქელაძე	პარტნიორი ორგანიზაციები; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ); პროფესიული კოლეჯები	გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ერთობლივად განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია			
	2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ქართველ და ევროპელ სასწავლო დაწესებულებებთან მიღწეული შეთანხმების ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების/ღონისძიებების ჩატარება			*	*	*	*	*		*	*	*	*						
ქვეყნის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება																			
პროფორიენტაციის მექანიზმების შემუშავება; აბიტურიენტთა მოზიდვის მექანიზმების შექმნა (ღია კარის დღეები; ვიზიტები სკოლაში; კამპანია მასმედის მეშვეობით); ვებ გვერდის შექმნა და მუდმივი განახლება	1. პროფორიენტაციის მექანიზმების და გეგმის შემუშავება;			*										მადონა მიქელაძე მამუკა გოგელია ლელა ვერმაძე გულადი ფარტენაძე	პარტნიორი ორგანიზაციები	საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; სარეკლამო ბუკლეტები; ფლაერები; სარეკლამო ბანერები; ვიდეო რგოლები; სარეკლამო კომპანიის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა; ცენტრის ვებგვერდი.			
	2. სარეკლამო ბუკლეტები; ფლაერების და სარეკლამო ბანერების, ასევე ვიდეო რგოლების დამზადება;				*														
	3. ღია კარის დღეების მოწყობა				*														
	4. ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების გაზრდა	*	*	*	*														

პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 თებერვლის N06-01/15 დადგენილებით

დანართი 3.

**პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა შესრულების მონიტორინგის წესი**

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი -2019-2024) გეგმით დასახული მიზნის მისაღწევად და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული, ბსუ-ს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის (შემდეგში „მონიტორინგი“) ღონისძიებებს.

2. ბსუ-ს მიერ დაგეგმილ აქტივობებში იგულისხმება პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გეგმით დასახული მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანები, ქვეამოცანები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები.

3. მონიტორინგის განხორციელების მიზნით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბსუ-ს რექტორის მოადგილე, პროფესორი თამარ სირაძე.

4. მონიტორინგის ჯგუფი სამუშაო პროცესში ხელმძღვანელობს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ბსუ-ს სტრატეგიული გეგმით, პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი -2019-2024) და ერთწლიანი გეგმებით და ამ გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ეფექტური მონიტორინგისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აქტებით ან/და დოკუმენტებით.

5. მონიტორინგის ჯგუფმა ამ წესის მიზნებისათვის უნდა განახორციელოს:

ა) დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და პერიოდულ ანალიზი;

ბ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებული რისკების დროული გამოვლენა;

გ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებული დაბრკოლებების (ხარვეზების) აღმოსაფხვრელად წინადადებების შემუშავება;

დ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით სტრუქტურული ერთეულების დროული ინფორმირება და პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ე) ყოველი 3 თვის გასვლის შემდეგ მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის შეჯამებას, მომდევნო თვის პირველ კვირაში;

ვ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, გონივრულ ვადაში,

რეკომენდაციების შემუშავებას და ბსუ-ს შესაბამისი მართვის ორგანოებისათვის (რექტორი/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) მიწოდებას;

ზ) მონიტორინგის მიზნით მისაღწევ სხვა კანონისმიერ აქტივობებს.

6. მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო შეხვედრა უნდა ჩატარდეს **არანაკლებ 2 თვეში** ერთხელ. შეხვედრის ორგანიზება ხორციელდება ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, რექტორის აპარატთან კოორდინირებული მუშაობით.

7. მონიტორინგის ჯგუფის პირველ სამუშაო შეხვედრაზე ხმათა უმრავლესობით:

ა) აირჩევა სამუშაო ჯგუფის მდივანი, რომელიც შეხვედრის მიმდინარეობას და მიღებულ გადაწყვეტილებებს მოკლედ ასახავს ოქმში (ოქმები ინახება ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში);

ბ) მონიტორინგის ჯგუფის წევრებს განესაზღვრებათ საკურაციო მიმართულებები;

გ) დაიგეგმება თითოეული საკურაციო მიმართულებაში დაგეგმილი აქტივობების შესრულებისათვის მონიტორინგის გეგმა ან/და განისაზღვრება ჩასატარებელი კვლევის საჭიროება.

8. მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებები, წინადადებები, მოსაზრებები და რეკომენდაციები წარედგინება ბსუ-ს მართვის ორგანოებს (კომპეტენციებისა და შესასრულებელი/გასათვალისწინებელი ღონისძიებების მიხედვით).



